**CV**



**ბესარიონ ზოიძე**

დაიბადა 1953 წლის 27 ივნისს შუახევის რაიონის სოფელ დაბაძველში,

1970 წელს დაამთავრა ქედის რაიონის ვაიოს საშუალო სკოლა.

1971 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში სამოქალაქო სამართლის სპეციალობით.

1980 წლიდან არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდანტი;

1994 წლიდან იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1979–82 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე, 1982 წლის ნოემბრიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერთა თანამშრომლად; ხოლო 1993 წლიდან (დღემდე) კერძო სამართლის განყოფილების გამგედ, 1994 წლიდან არის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1996 წელს ირჩევენ ამავე ინსტიტუტის დირექტორად.

1995 წლიდან ინტენსიურად ეწეოდა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას საზღვარგვარეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.

1996 წლიდან არის მაქს–პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის (ჰამბურგი, გერმანია) მეგობართა საზოგადოების წევრი.

სამართლის მეცნიერებათა განვითარებაში და ახალგაზრდა იურისტთა აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით. იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოსამზადებელი სარედაქციო კომისიის წევრი.

1999 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაინიშნა საქართველოს საკინსტიტუციო სასამართლოს წევრად.

2001 წლის ივლისიდან აირჩიეს საქართველოს საკინსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.

2009 წლის დეკემბერში ამოეწურა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

არის 80–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (ქართული,რუსული,გერმანული და ინგლისურ ენებზე), მათ შორის 5 მონოგრაფია (ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი; კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში და ა.შ.) და 2 სახელმძღვანელო (სანივთო სამართალი; კონსტიტუციური კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში).

იყო ჟურნალ ,,ადამიანი და კონსტიტუციის“ რედაქტორი (2000–2006 წწ.), ხოლო 2008 წლიდან არის ,,სამართლის ჟურნალის: მთ. რედაქტორი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 2000 წელს მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის – მოსამართლის საკლასო ჩინი

ჰყავს მეუღლე – ნატო ნიჟარაძე და შვილი თამარ ზოიძე.